ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2812827

ნომერი: AR1435908

თარიღი : 29.08.2016

გაცემის თარიღი : 02.09.2016

გაცნობის თარიღი : 13.06.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქეთევან წამებულის გამზირი N98;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევანი ხიდეშელი პ/ნ 01018005974
- ლაგოდეხი ს. გიორგეთი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების თანახმად, ჯიხურის ან/და დროებითი პავილიონის (საცალო ვაჭრობისა და მომსახურეობისათვის), ასევე მოსაცდელისთვის ,როგორც დამხმარე ნაგებობის მოწყობა, საზოგადოებრივ ზონა 2-ში (სსზ-2) საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას (სპეცნებართვას).

ამავე წესების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, ნებართვის მაძიებელმა სპეციალურ ზონალურ შეთანხმებაზე შესაბამისი, დასაბუთებული მოთხოვნა უნდა დააფიქსიროს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მიღებაზე განცხადებაში ან საჭიროების შემთხვევაში, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ განცხადებაში.

ვინაიდან, პირველი კლასის მშენებლობაზე სამსახურის მიერ გაიცემა არა მშენებლობის ნებართვა, არამედ წერილობითი დასტური და წერილობითი დასტურის გაცემის ფარგლებში არ ხდება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა ან არქიტექტურული პროექტის შეთანხმება, ამ ეტაპზე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას წინამდებარე განაცხადის ფარგლებში იმსჯელოს პირველი კლასის, სპეციალური ზონალური შეთანხმების მიღების საჭიროების მქონე ჯიხური ან/და დროებითი პავილიონი (საცალო ვაჭრობისა და მომსახურეობისათვის), ასევე მოსაცდელი , როგორც დამხმარე ნაგებობის განთავსების თაობაზე ან გადააგზავნოს საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოზე განსახილველად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.